დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერების დარგში პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი") პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია (შემდეგში - ,,პრემია") წესდება უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის (შემდეგში - ,,ინსტიტუტი") ინიციატივით. პრემიის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

მუხლი 2. პრემიის მინიჭების პროცედურა

1. პრემიის გადაცემა ხდება უნივერსიტეტის მიერ 2 წელიწადში ერთხელ, ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გახსნის დღეს, პლენარულ სხდომაზე, ინსტიტუტის დირექტორის მიერ.
2. პრემია შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული ეკონომიკური მეცნიერების დარგში შესრულებული მნიშვნელოვანი 1 სამეცნიერო ნაშრომის ან ნაშრომთა 1 ციკლისათვის (აღნიშნული მიზნისთვის სამეცნიერო ნაშრომად განიხილება მონოგრაფია, წიგნი ან ნაშრომთა ციკლი).
3. კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით. ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ვებგვერდზე არაუგვიანეს საპრემიო წლის 15 იანვრისა.
4. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი. კომისია შეიძლება შედგებოდეს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 9 წევრისგან.
5. პრემიის მიღების მიზნით დოკუმენტაციის წარმოდგენა ხდება ინსტიტუტის კანცელარიაში მათი რეგისტრაციის გზით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტაცია (ნაშრომი) განსახილველად აღარ მიიღება.

6. წარმოდგენილ ნაშრომებს აფასებს საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისია გამოყოფს რეცენზენტებს. ინსტიტუტის სადისკუსიო დარბაზის სხდომაზე საჯაროდ ისმენს კონკურსანტთა მოხსენებებსა და რეცენზიებს და აფასებს მათ. შეფასების კრიტერიუმებს ადგენს საკონკურსო კომისია, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ საკონკურსო კომისიის შექმნიდან 1 კვირის ფარგლებში.
7. გადაწყვეტილება პრემიის მინიჭებაზე საკონკურსო კომისიის მიერ მიიღება არაუგვიანეს საპრემიო წლის პირველი ივნისისა. გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის საბოლოო ოქმით, რომელიც ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. პრემია ენიჭება გამარჯვებული ნაშრომის (ნაშრომთა ციკლის) ავტორს (ავტორებს).
8. საკონკურსო კომისია განსაზღვრავს თავისი მუშაობის წესს, პირველ სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, იგი გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით, რაც ფორმდება ოქმით.
9. გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევებისა საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შეყვანილ იქნენ ნაშრომის რედაქტორები და რეცენზენტები.
10. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციულ მხარეს უზრუნველყოფს ინსტიტუტის დირექტორი.

მუხლი 3. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

1. პრემიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (CV);
დ) საპრემიოდ წარმოდგენილი გამოქვეყნებული ნაშრომის 3 (სამი) ეგზემპლარი.

მუხლი 4. პრემიის მინიჭება და პრემირებული პირის დაჯილდოება

1. გამარჯვებული ნაშრომის ავტორს (ავტორებს) ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის გახსნის დღეს პლენარულ სხდომაზე გადაეცემა შესაბამისი დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი და ინსტიტუტის დირექტორი.
2. კონკურსში გამარჯვებული ნაშრომის ავტორს გადაეცემა პრემია 1000 ლარის ოდენობით (ორი ან მეტი ავტორის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ნაწილდება

თანაბრად), ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან, რომელიც ჩაირიცხება მის (მათ) საბანკო ანგარიშზე.

3. დიპლომის ნიმუში მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ინსტიტუტის წარდგინებით.

4. პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია გამოქვეყნდება ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკურ ჟურნალ „ეკონომისტში“ და განთავსდება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ვებგვერდებზე.

მუხლი 5. წესში შესატანი ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.